

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

**„აი ია, აი თითი“ ხშირად მიზეზი გამხდარა პატარა
ანის ცრემლებისა**

ზეინაბ ბერიძე

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი -

რეზიუმე

ბევრი მოსწავლისათვის შექმნილა დაუძლეველ ბარიერად კითხვისა და წერის სწავლა, მრავალი ბავშვი ატირებულა დილით სკოლაში წასვლისას. დიდია მშობლის, მაგრამ უდიდესია სკოლისა და მასწავლებლის როლი აღნიშნული პრობლემის დაძლევაში. მასწავლებელი უნდა ფიქრობდეს, აკვირდებოდეს და იცნობდეს თითოეული ბავშვის საჭიროებებს, ინტერესებს და თავისებურებებს, აანალიზებდეს, ყველაფერ ამას და გაკვეთილს ისე გეგმავდეს. გაკვეთილიდან გამოსული აანალიზებდეს, გამოყოფდეს წარმატებულ და წარუმატებელ მიდგომას, გეგმავდეს მომდევნო გაკვეთილს წინა გაკვეთილის შეფასების საფუძველზე. ყველაფერი ეს ძალიან რთულად გვეჩვენება, მაგრამ თუ ყველაფერ ამას მასწავლებელი შეეცდება გააკეთოს ყოველდღე, მალე ყველაფერი ეს ჩვევად ექცევა. ერთი წამითაც არ უნდა მივცეთ თავს უფლება დავივიწყოთ, რომ ბავშვის განვითარებაში, მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი მისია სკოლას და მასწავლებელს აკისრია.

საკვანძო სიტყვები: ბავშვი, სკოლა, პედაგოგი, პედაგოგიკა

დავუბრუნდეთ კონკრეტულ საკითხს - „აი ია, აი თითი“ ხშირად მიზეზი გამხდარა პატარა ანის ცრემლებისა“ და რატომ? დავსვათ კითხვა, შევადლოთ იმ სკოლის კარები, სადაც ანი სწავლობს და შევიხედოთ გაკვეთილზე და პირველ კლასში წლის განმავლობაში ჩატარებული თუ ჩასატარებელი 245 საგაკვეთილო საათიდან გავაშუქოთ ერთი ფრაგმენტი: „მოწესრიგებული საკლასო ოთახი, მერხებთან მიმსხდარი ბავშვები, რომლებსაც გადაშლილი აქვთ სახელმძღვანელოები და ცდილობენ როგორმე ასო-ბგერა „ი“ და ასო-ბგერა „ა“ რომლების ასე ძალიან შორსაა ერთმანეთისაგან დაახლოვონ და ამოიკითხონ „ია“, რომელსაც მასწავლებელი ასე მარტივად კითხულობს და წარმოთქვამს. თუმცა ამას მარტივად ახერხებს მასწავლებელი, ხოლო ბავშვი, რომელიც გუშინ ბაღში იყო, ხატავდა და აფერადებდა, უყურებდა მულტფილმებს და ნანახით გამოწვეულ ემოციებსა და განცდებს თანატოლებს უზიარებდა, ამას ვერ ახერხებს, ცდილობს აღარ იფიქროს „ი“-ს

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

და „ა“- ს დაახლოებაზე, ამოკითხვაზე, რადგან ძალიან რთულია და მზერას ფანჯრისაკენ აპარებს, რათა კლასიდან მაინც გადაავლოს ეზოს თვალი, რომელიც სათამაშოდ ეპატიჟება.

ყურადღება ჩემსკენ!- ხმას უწევს მასწავლებელი, რადგან ამჩნევს, რომ ბავშვებს ყურადღება გაეფანტათ და უკვე ვინ იცის მერამდენედ იკრებს ენერგიას, უხსნის ბავშვებს, თხოვს წარმოთქვან და გააყოლონ მასთან ერთად თითი „აი ია, აი თითი...“

„დაიხმარეთ მშობლები და ხვალისათვის კარგი კითხვით მოამზადეთ გაკვეთილი!- ესმით მასწავლებლის ხმა ზარის ხმით გახარებულ ბავშვს და ეს სიხარული გრძელდება მანამ, სანამ სახლში არ დაიწყებს მეცადინეობას. სახლში კი ამ ურთულეს დავალებასთან შეჭიდებისას, რომელსაც არც კი იცის როდის დაასრულებს, გრძნობს იმას, რომ თამაშისათვის ძალიან ცოტა დრო რჩება და ზოგჯერ ესეც არა, თავს ტირილით შველის.“

ეს ჩვენი სათაყვანებელი ანბანი, ჩვენი „დედა-ენა“, რომელიც წინაპრებმა სისხლისა და სიცოცხლის ფასად შეგვინახეს, ხდება ანის და ბევრი სხვა ბავშვის ცრემლების მიზეზი, ხშირად შედეგი გვაქვს, რომ ვამთავრებთ სკოლას და წერა-კითხვა არ ვიცით და უარეს შემთხვევაში რჩებათ სიძულვილი საკუთარი ენისადმი.

თვალი გადავავლე ყველაზე გავრცელებულ პედაგოგიკურ კონცეფციებს და შევეცადე ზემოთ მოყვანილი სიტუაციისათვის და დასმული კითხვისათვის ლოგიკური პასუხი მეპოვა.

ფილოსოფოს ჯონ დიუის აზრით, „სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს საფუძვლად უნდა ედოს ბავშვის ინტერესები. მოსწავლემ თვითონ უნდა განსაზღვროს სასწავლო მასალის რაოდენობა და ხარისხი. მას უნდოდა, რომ მოსწავლის თეორიულ ცოდნას მიეღო კონკრეტული ფორმა, რომელსაც ექნებოდა კავშირი პრაქტიკულ ცხოვრებასთან.

ჯ. დიუის აზრით, სწავლა უფრო ეფექტური იქნება, თუ ის დაეფუძნება მოსწავლეთა შევითხვებს, ინტერესებსა და საჭიროებებს.“

პედაგოგიური ექსპერიმენტის საფუძველზე ჯ. დიუიმ გამოჰყო ბავშვის განვითარების 3 პერიოდი: 4-8 წელი, 8-12 წელი, 13 წელი და ზემოთ.

4-8 წელი - ამ ასაკის ბავშვს ახასიათებს მოტორული აქტივობა. ამიტომ საჭიროა პირდაპირი კავშირი იდეასა და მოქმედებას შორის. სწავლას არ უნდა ჰქონდეს გაკვეთილის ფორმა, არამედ უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა აქტივობის სახით.

ამის ნათელი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო ჩემი უახლოესი პრაქტიკიდან, მოსწავლეს, რომელსაც თეორიულად ავუხსენი მრავალჯერ ხმოვნები და თანხმოვნები, ასევე გავაკეთე მაგალითები თვალსაჩინოებისათვის დაფაზე, დავაჯგუფე ხმოვნით დაწყებული სიტყვები ცალკე, თანხმოვნით დაწყებული ცალკე, მიზანს ვერ მივალწიე. მაგრამ როცა შევიტანე ფერადი მარკერები და ვთხოვე დაეწერათ თავიანთი სახელი, გვარი და ხმოვნები მათთვის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

საყვარელ ერთ ფერზე გაეფერადებინათ, ყველა მოსწავლე ხალისით შეუდგა საქმეს და შედეგად დამაკმაყოფილებელი მივიღე.

ჯ. დიუ მიიჩნევდა, რომ „სასწავლო პროცესში აუცილებელია თამაშის ჩართვა. თამაში მიუთითებს ბავშვის გონებრივ აქტივობაზე. თამაში არის ყველა ძალის, აზრისა და ფიზიკური აქტივობის გავარჯიშება.

სწავლება უნდა მიმდინარეობდეს შრომითი და თამაშის აქტივობის გამოყენებით. მასწავლებელმა უნდა შექმნას პირობები, სადაც გამოვლინდება მოსწავლის შინაგანი შესაძლებლობები და ამავე დროს, უნდა აღკვეთოს სიტუაციები, რომელიც ხელს უშლის ბავშვის განვითარებას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს თავისი ინდივიდუალური მიზნების დასახვაში.“

მარია მონტესორის პედაგოგიკის ქვეშ იგულისხმება მის მიერ შექმნილი სწავლების სისტემა ბავშვებისათვის. მონტესორის მეთოდიკა, პირველ რიგში, გულისხმობს ბავშვის თავისუფალ, დამოუკიდებელ განვითარებას. ბავშვი სწავლობს იმას, რაც მას აინტერესებს. მას არავინ არ აიძულებს სწავლას. **მონტესორის პედაგოგიკის არსს წარმოადგენს შემდეგი - დამეხმარე, რომ თვითონ გავაკეთო.“**

მონტესორის პედაგოგიკის არსს სწორად ჩავწვდი მაშინ, როცა ჩემმა შვილმა სკოლიდან მომიტანა ხელზე დახატული ორი ვარსკვლავი, ერთი მეორესთან შედარებით ფერმკრთალი იყო, წაშლილს ჰგავდა. შევაქე და აღვნიშნე, რომ ერთ დღეზე ორი ვარსკვლავის დამსახურება საამაყო იყო. მან კი მითხრა: „ჩემი მხოლოდ ერთია - კარგი კითხვისათვის, მეორე ვარსკვლავი კი მასწავლებლისაა, თვითონ მან დამისრულა ნახატი რომელიც მე ვერ დავხატე და ამიტომ შევეცადე მომეშორებინა ხელიდან ვარსკვლავი, რომელიც მე არ მეკუთვნებოდაო“.

მონტესორის პედაგოგიკაში სწავლების პროცესის ცენტრია ბავშვი და არა - მასწავლებელი. ბავშვი არ არის მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის პასიური მსმენელი, არამედ სწავლობს დამოუკიდებლად, აქტივობის შედეგად, ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებების საფუძველზე. დამეხმარე, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაუწიოს ბავშვს, არის შემდეგი- მასწავლებელმა უნდა აჩვენოს, როგორ მუშაობს დიდაქტიკური მასალა, როგორაა შესაძლებელი მისი გამოყენება.

მე ვფიქრობ მონტესორის და დიუსის პედაგოგიკურ კონცეფციის მცირე მიმოხილვას, თუ დავუმატებთ დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ კონცეფციას ჩვენი თემისათვის საჭირო საკითხების მოკლე მიმოხილვით, მივიღებთ პასუხს, თუ რატომ არის დღეს სკოლაში გაკვეთილზე ჯდომა მოსაბეზრებელი და დამღლელი ბავშვისათვის.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

უზნაძის მიხედვით, „ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩაწვდა ბავშვის ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას ეფუძნება.“

აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ დაარქვა.

„უფსკრული აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თუმცა კი მიაჩნია, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც, აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობაა, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალეზად იქცევაო,“ – წერდა დ. უზნაძე.

მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, „უმტკივნეულოდ შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას“.

თუ მასწავლებელი ჩაწვდება ყოველივე ამას, შეძლებს უმტკივნეულო გახადოს სწავლის პროცესი მოსწავლისათვის, ძირეულად შეცვალოს დავით გურამიშვილის სიტყვები „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიანპიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“.

„ მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეხარდოს.“ (მ. ბოჭორიშვილი „უზნაძის თეორია და პედაგოგიკა“ mastsavlebeli.ge)

და ბოლოს:

მასწავლებელი უპირველესად უნდა იყოს შეყვარებული ბავშვებზე, იცნობდეს ბავშვის ფსიქოლოგიას, აღიარებდეს მის ინტერესსა და სურვილებს, ითვალისწინებდეს ასაკობრივ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

თავისებურებებს, შესაძლებლობებს, ფლობდეს საგნის სწავლების დიდაქტიკას და სასწავლო გარემო, საკლასო ოთახი მოაწყოს ბავშვზე ორიენტირებული. მასწავლებელმა თეორიული ცოდნა უნდა გადაიტანოს პრაქტიკაში და მასწავლებელი, რომელიც ყველა გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინებს ყველა ზემოთჩამოთვლილს, სწავლა გახდება მოსწავლისათვის სასიასმოვნო პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. მაღლაკელიძე „ქართული ენის სწავლების მეთოდის/დიდაქტიკა“ , გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2013
2. მ. მელიქიშვილი „ჯონ დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013
3. <https://ka.wikipedia.org>
4. <http://www.nplg.gov.ge>
5. <http://www.mastsavlebeli.ge>